ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ივნისი_____ 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უმრავი ქონებების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - მედეასათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 09 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის ------ ივნისის №---------- მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - მედეასათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №412782127) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №2-ში (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართობით - 18 529.00 კვ.მ და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობები, სკვერი; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.03.21.352) და ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №2-ში მდებარე უძრავი ქონებების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართობით - 57.00 კვ.მ და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა, საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.03.21.351) სარგებლობაში გაცემის თაობაზე

მუხლი 2. უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - მედეას" (საიდენტიფიკაციო კოდის №412782127) არსებობის ვადით.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების,
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
,,ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - მედეასათვის"
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით,
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შესახებ"

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 12 დეკემბრის N257 განკარგულებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს მიეცა თანხმობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების" (საიდენტიფიკაციო კოდი N412678348) რეორგანიზაციის (გაყოფიდ) განხორციელების, მისგან მისი ფიალიალების: ,,ბოტანიკური ბაღისა" და ,,ახალგაზრდობის პარკის" გამოყოფისა და ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - მედეას" დაფუძნების თაობაზე.

მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული იქნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - მედეას" (საიდენტიფიკაციო კოდის №412782127).

არასამეწარმეო ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების სრულყოფილად განხორციელების მიზნით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, განხორციელდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ქუთაისის ბოტანიკური ბაღისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №412782127) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №2-ში (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართობით - 18 529.00 კვ.მ და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობები, სკვერი; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.03.21.352) და ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი №2-ში მდებარე უძრავი ქონებების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართობით - 57.00 კვ.მ და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა, საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.03.21.351) სარგებლობაში გადაცემა.

უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - მედეას" (საიდენტიფიკაციო კოდის №412782127) არსებობის ვადით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს. 122-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად, ,,5. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. 6. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცეს სახელმწიფოს და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა), მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, საწარმოს, რომლის წილის ან აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ან თავად ამ კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს."

გამომდინარე აქედან, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - მედეასათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ."

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი მზევინარ საცერაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი